საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №4
2024 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175, მუხ. 1791, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) მე-2 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ოდენობა ყოველი საანგარიშო თვისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ცვლ}} = \frac{(P + T_{\text{ტრანს}} + T_{\text{განაწ}}) * V + IC}{E * (1 - CFR)}$$

სადაც:

$T_{\text{ცვლ}}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი (თეთრი /კვტსთ);

P – კომისიასთან შეთანხმებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი (თეთრი/$მ^3$);

$T_{\text{ტრანს}}$ – კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი (თეთრი/$მ^3$);

$T_{\text{განაწ}}$ – კომისიის ნორმატიული აქტით იმ განაწილების ლიცენზიატისათვის დადგენილი ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი (თეთრი/$მ^3$), რომლის მფლობელობაში არსებულ გამანაწილებელ ქსელზე არის მიერთებული გარანტირებული სიმძლავრის წყარო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

V – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ საანგარიშო თვეში ელექტროენერგიის

წარმოებისათვის შესყიდული ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი მოცულობა ($მ^3$);

IC – უბალანსობის ღირებულების მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობა საანგარიშო პერიოდში (ლარი);

E – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ საანგარიშო თვეში სალტეზე გაცემული (რეალიზებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა (კვტსთ);

CRF – კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილი ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის მიერ გადასახდელი რეგულირების საფასურის კოეფიციენტი.“.

2. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით გაანგარიშებული ტარიფების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gnerc.org), ხოლო გამოქვეყნების და, აგრეთვე, გასაანგარიშებლად წარსადგენი ინფორმაციის წესი და პირობები განსაზღვრულია კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №6^2) მე-15 მუხლით.“.

3. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„5. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში დადგენილი წესით უზრუნველყოს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურის ანაზღაურება მათ მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს:

ა) 175 დღისა – შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ (№9 ენერგობლოკი);

ბ) 121 დღისა – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ (№3 ენერგობლოკი);

გ) 154 დღისა – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ (№4 ენერგობლოკი);

დ) 182 დღისა – შპს „ჯიფაუერისთვის“;

ე) 290 დღისა – შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“;

ვ) 422 დღისა – შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-სთვის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**